



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 1 ივლისი

**დისციპლინური საქმე №114/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- 2022 წლის 27 ივნისის №114 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

-- -- აღნიშნავს, რომ მოსამართლისა და პროკურორის ერთობლივი ტყუილის შედეგად, სასამართლომ მის მიმართ გამოიტანა უკანონო განაჩენი. კერძოდ, სასამართლომ მას განუსაზღვრა სასჯელის უმაღლესი ზომა.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- სასამართლოს მოსამართლის --- 2018 წლის 20 დეკემბრის განაჩენით --- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა --- წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა 2017 წლის 15 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელიდან --- წლით და --- თვით თავისუფლების აღკვეთიდან და --- წლით და --- თვით პირობითი მსჯავრიდან, სასჯელის მოუხდელი ნაწილი --- წელი და --- თვე პირობითი მსჯავრი და საბოლოოდ --- წელი განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთით პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო --- წელი და --- თვე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა --- წელი და --- თვე.

**3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოების-  
თვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,  
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი  
ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის  
წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციე-  
ლებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა  
საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით  
წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების  
სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს  
სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის  
„ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას  
მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან  
მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ,  
ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური  
პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა.

ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს  
უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ  
საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული განაჩენი მოსამართლე -- -- მიერ  
მიღებულ იქნა 2018 წლის 20 დეკემბერს, ხოლო საჩივარი წარმოდგენილია 2022 წლის 27 ივნისს,  
გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა - 3 წელი, რის  
გამოც, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა  
„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლით, 75<sup>12</sup> მუხლის  
პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №114/22 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური  
სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი